600

ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 17 დეკემბერი № 1673

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეორეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—37)

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიპოვის სახლი № 1.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარხუდოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი
კ. მ. ელიოზიშვილი
ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 12—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალ საქალაქო არჩევნებისათვის შესადგენ ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იქმნებიან მხოლოდ იმ უძრავ მამულების პატრონები, რომლებზედაც დეკემბრის დასრულებამდე აღარ იქნება დარჩენილი ნედოიმკა საქალაქო გადასახადისა, რომელიც 1901 წლის 1-ლ ივლისამდე იყო შემოსატანი. აცხადებს-რა ამას საქალაქო გამგეობა, სთხოვს ბბ. სახლის პატრონთ იზრუნონ და თავის დროზე შემოიტანონ ხვედრი ნედოიმკა. (ნ. 3—1)

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 16 დეკემბერს, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში ბ-ნ ვ. სულხანიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა; წელს საზოგადოების საგანგებო კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ კრებამ განიხილა $190^1/_2$ წლის შემოსავალ-გასავლის საავარუდო ხარჯთ-აღრიცხვა. საზოგადოებას შემოსავალი ექნება სულ 35,900 მან. და გასავალიც ამდენივე. კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა თითქმის შეუცვლელად. მთელი ორი საათი მოანდომა თითქმის კრებამ მ. საფაროვ-აბაშიძის განცხადების განხილვას; საქმე იმაშია, რომ ქ. საფაროვ-აბაშიძისა თხოულობს: ისე დავამყოფდი, რომ შრომა არ შემიძლია, სხვა სახსარი არაფერი მაქვს და პენსია დამინიშნეთო. კარგა ხნის კამათით გამოირკვა, რომ პენსიისათვის საზოგადოებას არავითარი სახსარი არ აქვს და ამიტომ კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა უარი გამოეცხადოს მის განცხადებაზე საფაროვ-აბაშიძისას პენსიის დანიშვნის შესახებ და მიენდოს საქმე თვითგამგეობას, რომელმაც, რამდენადაც მოხერხება ექნება, დახმარება აღმოუჩინოს დამსახურებულს ყოფილ არტისტს ქალს. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი ივ. მაჭავარიანი და თავ. ზ. ერისთავი. დასასრულ კრებამ ერთხმად ამოირჩია საზოგადოების წევრებად ათამდე კაცი საზოგადოების წევრობის მსურველნი. კრება ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე დასრულდა.

◆ გუშინდელს სხდომაზე დრამატიულმა საზოგადოებამ გარდასწყვიტა, დააარსოს თანხა, რომლითაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ ხოლმე არტისტებს. ამ თანხის დასაარსებლად და გასაძლიერებლად გადასწყვიტეს: ყოველ სეზონში ერთი წარმოდგენა გაიმართოს ამ საქმისათვის; დიდ მარხვაში სალიტერატურო საღამო; გაიმართოს ხელის მოწერა, და ყველა ამას დაემატოს ჯარიმებიც, რომელიც ამა თუ იმ არტისტს გადახდება.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში, 16 დეკემბერს, მოხდა კრება ადგილობრივ პერიოდულ გამოცემათა თანამშრომლებისა, რომელთაც უნდა განეხილათ განსაკუთრებულ კომისიისაგან შემუშავებული პროექტი კავკასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ განზრახულ საზოგადოებისა. თუმცა კრებას 20-ზე მეტი კაცი არ დაესწრო და ზოგიერთებმა ითხოვეს კრების 23 დეკემბრისათვის გადადება, მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით საჭიროდ დაინახა ამავე სხდომაზე შესდგომოდნენ წესდების პროექტის განხილვას. ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდე კრებამ მოასწრო მცირეოდენის ცვლილებებით მხოლოდ 22 მუხლის განხილვა, ხოლო კრების გაგრძელება გადაიდო კვირის, 23 დეკემბრისათვის. ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

◆ როგორც ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, გ. ფ. ზდანოვიჩს დაუსრულებია **საქმე მაგა-ქვის სინდიკატთან** ბერლინში და 200 ათასი მანეთი ავანსი კიდეც გამოუგზავნია.

◆ თუ დაუჯერეთ „ჩერნომ. ვესტნიკ“-ს, **მთავრობას უარ-უყვია** მარგანეცის მრეწველთა საბჭოს შუამდგომლობა მარგანეცის გადასატან ტარიფის დაკლების შესახებ.

◆ დღეს, 17 ნოემბერს ტფილისის საბჭოს სხდომაზე განსახილველად დანიშნულია სულ 20 საქმე. სხვათა შორის, საბჭო განიხილავს კომისიის მოხსენებას ნ. ზუბალაშვილის სახელობაზე ღარიბთა თავშესაფარის სადგომის აშენების შესახებ, დადგენილებას ქალაქის გამგეობისას, თუ როგორ იქნება ხოლმე დაცული ქალაქის კასა, მოხსენებას კომისიისას, თუ როგორ იქნეს შეცვლილი საალმშენებლო განყოფილების სავალდებულო დადგენილებათა მე-24 მუხლი და სხვა. სხდომა საღამოს 8 საათზე არის დანიშნული.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია **ბათუმის** საჯარო **ბიბლიოთეკის** წესდება.

◆ **ქ. ოზურგეთიდან** გვწერენ: „ამ დღეებში აქ თავისი ნებით გამოეცხადა მაზრის უფროსს მიქელ-გაბრიელის მცხოვრები **მოქია**. მოქიას პირველად ეწამებოდა ხრიალეთის ეკლესიის დაწვა, რისთვისაც გაგზავნილი იყო „ცივ-ქვეყნებში“. ეხლა კი მოქიას ეწამებოდა ავაზაკ-თავართქილაძესთან კავშირი, რისთვისაც ის დღემდე ყაჩაღად იყო გავარდნილი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც გურიაში „ფირალობა“ აღარ არის, მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ წელში კვლავ იჩინა თავი მიქელ-გაბრიელის საზოგადოებაში. ბელადად ჰყავთ ყაჩაღებს, როგორც ამბობენ, ციმბირიდან გამოპარული გუჯაბიძე. მიქელ-გაბრიელის საზოგადოებაში დღეს ამის მიზეზით ჩაყენებულია დარაჯები (სტრაჟები).“

◆ სად. სუფსიდან გვწერენ: „15 დეკემბერს, ბინდისას, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა თოფით **მოჰკლა** ადგილობრივი მცხოვრები ესტატე ხორგუა. საბრალო, როცა უკანა კარიდან გარედ გამოდიოდა, მტერმა მაშინ მალულად ესროლა თოფი. ტყვია მოხვდა თავში და მაშინვე სული გააფთხობინა. ადგილობრივი ბოქაული ბ. ქელბაქიანი მაშინვე ჩამოვიდა ლანჩხუთიდან, მაგრამ ჯერ მკვლელი ვერ აღმოუჩენიათ“.

რუსეთის ქრონიკა

∝ «რუსკ. ვედომ» სიტყვით, უწმინდესი სინოდი თხოულობს $3^1/_2$ მილიონ მანეთზე მეტს მომავალ წელში ხალხის განათლების საქმისათვის.

∝ მომავალ წელს ფიქრობენ გამოსცენ უწმინდეს სინოდთან დაარსებულის კომისიის შრომა შესახებ სინოდის არხივის საქმეთა აღწერილობისა.

∝ «ნოვოე ვრემია» იტყობინება, რომ დამზღვეველ საზოგადოებათა წარმომადგენლებმა, რომლებიც პეტერბურგში შეიყარნენ, ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის ძალითაც ყოველი საზოგადოება, რომელიც თავისკენ გადაიყვანს დამზღვევს სხვა საზოგადოებისაგან, ვალდებულია გადაიხადოს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ 25°/o დამზღვევისაგან შეტანილის ყოველ წლიურის გარდასახადისა. ამასთანავე მიღება რომელისამე დასაზღვევ ქონებისა, რომელიც დაზღვეულია სხვა საზოგადოებაში მთლად თუ ნაწილებით, უნდა მოხდეს უსათუოდ პირველი საზოგადოების თანხმობით. ამ ხელმეორედ დაზღვევასაც შეეხება 25°/o პირობები.

∝ ამჟამად პეტერბურგის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის თავმჯდომარეობით სპეციალური კომისია იხილავს კითხვას შესახებ დრო-გამოშვებითი მოწვევისა ქალაქის სასწავლებლების მასწავლებელთა სატახტო და გუბერნიის ქალაქებში.

∝ 9 დეკემბერს ერთ-ერთ უნივერსიტეტის აუდიტორიაში პეტერბურგის უნივერსიტეტის ექსტრაორდინარის პროფესორის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. ი. მარრი იცავდა დისერტაციას „იპპოლიტ. ალსნა ქებათა ქებისა ქართული ხელნაწერი მეათე საუკუნისა, სომხურიდან თარგმნილი“, რომელიც მან წარმოადგინა სომხური სიტყვიერების დოქტორის ხარისხის მისაღებად. ოფიციალურ ოპონენტებად იყვნენ პროფესორები კოკოვცევი და ბარონ როზენი. რჩევამ ღირსად სცნო ბ. მარი სომხური სიტყვიერების დოქტორის ხარისხისა.

თეატრი

სახაზინო თეატრი.

«ზოლუშკა,» ოპერა, მუსიკა მასსნესი. წლევანდელი საოპერო დასი შესდგება ისეთ დახელოვნებულ და კარგი ხმის მქონე პირებისაგან, როგორც, მაგ., ქ.ქ. ბრონსკისა, გუშჩინისა, პოპოვისა, რადინისა და სხვ. და ბ.ბ. ბორისენკო, როზანოვი, სიბირიაკოვი, გორიაინოვი და სხ., ასე რომ საზოგადოება ვერ უსაყვედურებს თეატრის ადმინისტრაციას დაუდევრობას. გარდა ამისა, ადმინისტრაცია ყოველ ოპერას სდგამს მშვენიერ მოწყობილებით. გაუგებარია, ამისათვის, ტფილისის საზოგადოების გულგრილობა ოპერისადმი, მუსიკისადმი.

15 დეკემბერს, შაბათს, მეორეთ დასდგეს ოპერა «ზოლუშკა», ანუ სანდრილიონი. მშვენიერი, მსუბუქი და მელოდიური მუსიკაა მასსენეს «ზოლუშკა» და მომღერალთაც არა დაზოგეს რა, რომ კარგად შეესრულებინათ თავთავიანთი პარტიები

ფეიას პარტიაში ქ-ნ ბრონსკისამ თავისს მშვენიერის ხმით, რომელიც კოლორატურის მხრივ კარგად აქვს შემუშავებული, გრძნობიერის სიმღერით და დახელოვნებულის თამაშობით ამ საღამოსაც, როგორც ყოველთვის, მოჰხიბლა საზოგადოება.

შეიძლება თამამად ვსთქვათ, რომ შეუდარებელი იყო ზოლუშკას პარტიაში ქ. გუშჩინისა, რომელმაც კარგად დაგვიხატა კეთილი, გულუბრყვილო, დაჩაგრული ქალი. მშვენიერი კილო სიმღერისა და ხმა, მეტადრე შუა და მაღალ ნოტებში, ატკბობდა დამსწრეთა ყურთა სმენას. არტისტკამ კილო და ხმა საცსებით შეუფერა ზოლუშკას დაჩაგრულ მდგომარეობას. კარგი იყო ქ. გუშჩინისა დუეტში პრინცთან (რადინისა) მუხასთან და მე-3 მოქმედებაში მამასთან (გორიაინოვი). ქ. პოპოვისა, ქ. რადინისა, ბ. გორიაინოვი და სხვა თავთავიანთ პარტიების სინიდისიერად ასრულებით პირველთ მხარს უმშვენებდნენ. სცენის მხრივ ოპერა კარგად იყო მოწყობილი და გემოვნებით. მსწრაფლად გამოცვლა სცენებისა და სინათლის ეფექტები ამტკიცებენ საქმის ცოდნას და სიყვარულს.

ოთხშაბათს პირველად მიდის ამ სეზონში «ევგენი ონეგინი» კამიონსკის მონაწილეობით, რომელიც რუსეთში განთქმულია, როგორც საუკეთესო ამსრულებელი ონეგინის პარტიისა.

პროვინცია

ბაქო. დაიწყო ბაქოში ჩვეულებრივი კონცერტებისა და საღამოების გამართვა საქველმოქმედო მიზნით; მაგრამ წელს ასეთ საღამო-

ებს, რასაკვირველია, ისეთი მხარეები გამწრეთა სამრავლე და შემოსავლიანობა არ ეტყობათ და არც ექმნებათ, როგორც წინა წლებში ჰქონდათ, რადგანაც ეხლა ბაქოელები საზოგადოთ ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ, როგორც იტყვიან, სული კბილით უჭირავთ. ეს გარემოება, რასა თქმა უნდა, აქაურ ქართულ სადამოს შემოსავალზედაც იქონიებს გავლენას. წინა წლებში, როგორც მოგეხსენებათ, სამას თუმნამდის ჰკრებოდა ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წმინდა შემოსავალი, რაც დიდ შეღავათს აძლევდა მას. წლეს კი, უკე თუ ძრიელ არ ეცადა აქაური ქართველობა,—დროზე არ შეუდგა თადარიგს და საინტერესო სადამო არ გამართა, იმდენი არ არის, იმოდენი შემოსავალი დარჩეს. მაგრამ, სამწუხაროთ, აქაურ ქართველების მდგომარეობაზედაც იქონია გავლენა საზოგადო კრიზისმა და ზოგნი მათგანი იძულებული შეიქნენ დაენებებიათ თავი ბაქოსთვის. სამწუხაროდ, აქაურ ქართულ სამკითხველოსაც სძინავს ჯერ-ჯერობით. სამკითხველო წარსულ ენკენისთვეში უნდა გახსნილიყო, მაგრამ იმ ვაჟბატონის წყალობით, რომელმაც უკანონოდ მიითვისა ბაქოს მმართველობისაგან დანიშნული სამოცი თუმანი, სამკითხველო ვეღარ გამართეს. ეს საქმე დღეს სასამართლოში არის გადაცემული და ვნახოთ, როგორ გათავდება. მაგრამ, როგორც უნდა გათავდეს, ფულის ამოღება ძრიელ ძნელია, უკე თუ თვით ქალაქის მმართველობამ არ იკისრა ზარალი, რადგანაც მისი ბრალია, რომ შეცდომით ფული იმას არ ჩააბარა, ვისაც ეკუთვნოდა.

ბაქოში ამ ბოლო დროს ცარცვა და მკვლელობა ისე გახშირდა, ერთი დღეც არ გაივლის ისე, რომ ამგვარი არა მოხდეს-რა. გუშინღამ, მაგ., თავს დაეცნენ ვიღაც ბოროტგამზრახველნი «ორიანის» ამხანაგობის დირექტორს ვ. ასლანოვს და წაართვეს რაც კასაში ფული ჰქონდა; თვითონ კი გადარჩა, რადგანაც წინააღმდეგობა არ გაუწია ყაჩაღებს.

წყალტუბელი.

ლეჩხუმი. აგერ თორმეტი წელიწადია, რაც დრო გამოშვებით კომისიებ ანდობენ კითხვის გადაწყვეტას, ლაილაშში, თუ ცაგერში იქმნას სასამართლო, ბოქაულია და სხვა სამაზრო დაწესებულებანი და დღესაც ჯერ ისევ საკითხავად დარჩენილი, თუმცა თითქმის ყველა კომისიები იმ აზრს დაადგნენ, რომ ლაილაში ჯობია ცაგერსა. ჯერ ისევ 1870 წლებში მაზრის უფროსმა კრიოვმა შეადგინა პროექტი დაწესებულებათა გადმოტანისა ცაგერიდან ლაილაშში, მაგრამ დღესაც არ გადმოტანიათ და ამის გამო მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან, რადგანაც ცაგერში მიმოსვლა უიგლად შეუძლებელია. იქნება სთქვას ვინმემ, თუ გზა არ არის, უნდა გააკეთონ. რასაკვირველია, ეს აგრეც უნდა იყვეს, მაგრამ გზა თავს არ იჭერს. 21,000 მ. დახარჯეს ერთბაშად გზის გასაკეთებლად; უმეტეს ნაწილს ჰსურდა დაარსებულიყო ლაილაშში, ამაზე დაინიშნა კომისია, გააკეთეს კიდევაც, მაგრამ მეორე წელს ხსენებაც აღარ იყო. ყოველ წლივ აუარებელ ფულს ჰღუპავენ, მაგრამ გზა მაინც არ არის. ლაილაშისკენ კი მშვენიერი საურმე გზებია და თუ რომ შეაკეთონ, სამუდამოდ დარჩება. ესეც რომ არ იყოს, ცაგერი დაშორებული ადგილია და მაზრის შუაგულს არ წარმოადგენს. ლაილაშს კი ამ მხრივაც უპირატესობა ეკუთვნის. ლაილაშს ახლოს ლეხურის ტყე, საიდანაც მდ. ლაჯანურით გამოაქვთ ხე-ტყე, რის გამო შეშა აქ შედარებით ბევრად იაფია, ვიდრე ცაგერში. აქ შემოაქვთ ყოველ გვარი სანოვაგე ქუთაისიდან და ონიდან, ხალხიც ამ ადგილას უფრო ეტანება, ვიდრე ცაგერს. დროა, ვისაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ და ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებთა დიდი ხნის სამართლიანი სურვილი დააკმაყოფილონ.

ცუცუნია.

დარუბანდი შესანიშნავია თავისი კედლებით და ციხეებით. სამი მხრიდან კედლებით და ერთის მხრიდან კასპის ზღვით შემოზღუდული ქალაქი მშვენიერ სანახავს წარმოადგენს. ქალაქი მთაზეა შეფენილი და ზღვიდან უფრო კარგი შეხედულობა აქვს. თამარ-მეფის დროს აქ ბევრი ქართველები სცხოვრობდნენ, მაგრამ დღეს კი ბინადარ ქართველს აქ ვერ შეჰხვდებით—სომხობა, სპარსელობა და ურიები, აი, ვინ შეადგენენ აქაურ ბინადართ. აქაური ხალხი, განსაკუთრებით სარწმუნოებისა, მებადეობას და მებოსტნეობას მისდევს. სომხები და ურიები მეღვინეობას, სპარსელები კი უფრო მებოსტნეობას. დარუბანდი განთქმულია მდიდარის მიდამოებით—მოსავალი კარგი იცის და აქაური მწარმოებელიც მეტად არის მდიდარი. შესანიშნავი დარუბანდის კედლები და ციხეები, როგორც საქართველოს მატიანე გვეუბნება, აღშენებულია ქართველთა მეფის მირვანისაგან. და გარდა ამისა, ამბობენ, რომ ამ კედელ-ციხის რკინის ერთი კარებთაგანი დღესაც გელათის მონასტერშია დაცული, დავით აღმაშენებლის მიერ წაღებული.

გ. თოიძე.

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა

ქების ფურცლებით

დაჯილდოებულ იქმნენ: თათია ხარნაული (პურის უხვისათვის), ს. ბ. გაშაგიძე (კართოფილი), თავ. ციციშვილი (კართოფილი), კურდღელაშვილი კახეთში, ზ. გულ. ჭავჭავაძე, სულ. გ. ჭავჭავაძე კახეთში, ვ. გ. მაჩაბელი ქართლში ბ. ანდ. ბაბუნაშვილი კახეთში (ღვინისათვის), თავ. კ. ნ. სააღდოლგი (ყურძნისათვის), გ. ი. თოიძე ტფილისში (ხილისათვის), ი. ს. სულხანიშვილი ტირძნისში გორის მაზრ (ვაშლი), ახალქალაქის დედათა წრე (Варенія 8 сортовъ.), ყარაიაზის მარიინის ირიგაციონულ არხის ამხანაგობა (ხის ჯიში), თავ. ჩოლოყაშვილი სიღნაღის მაზრაში (ხე-ტყე), ყარაიაზის სატყეო მინდორი (კართოფილი), ა. ა. კალატოზიშვილი (ცხენი), ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლა (მეაბრეშუმეობისათვის), ტფილისის საბაღოსნო სკოლის მოსწავლე ჩარუევი, ცინცაძე (აბრეშ. პარკი), ქუთაისის საქალაქო 6 კლასიანი სასწავლებელი (მეაბრეშუმეობა), სანხერის ერთკლასიანი სკოლა (მეფუტკრეობისათვის), გორის მაზრის მეტეხის ერთკლასიანი სოფლის სკოლა (მეაბრეშუმეობისა და მინად სამრეწველო ნაწარმოებისათვის), გორის 4 კლასიანი საქალაქო სკოლა (მეაბრეშუმეობა), ზუგდიდის 6 კლასიანი საქალაქო სკოლა, ყვირილის ნორმალური სასწავლებელი (მეფუტკრეობის შესახებ ცოდნის გავრცელებისათვის), კოჩეშვილი ხევსურეთში (მეფუტკრეობისათვის), ა. არიაძე (მეფუტკრეობა), თავ. ა. ნ. ორბელიანი მეორე ხარისხის დიპლომი (ძაღლებისათვის), ზაქარია ფურცხვანიძე (პურის არაყისათვის), თავ. ჩოლოყაშვილი თიანეთის მაზრაში (ლითოგრაფიული ქვებისათვის), თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი (ქვები), ქუთაისის გუბერნიის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო (მარგანეცის სისტემატიურად კოლექციის შედგენისა, საზოგადოდ მარგანეცის საქმის მოწყობისა და შავი ქვის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ შრომისათვის), ა. გ. ხიზანაშვილი (ბაქოს ნავთის მწარმოებელთა შენობების მოდელის შედგენისათვის), მამა დავითის დედათა სამრეწველო სასწავლო სკოლა ტფილისში (კერვა უთოობისათვის) სიღნაღის ქალაქის სასწავლებელი (ხატვა), სააფთიაქო წამლებით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა, მოხელე ადგილობრივ სკვერებისა ივ. მამაჯანოვი, ნ. დ. ოჯაია (კაბის მოდელი), დათიკო არღუთინსკის კერძო სასწავლებლის მოსწავლე (თიხისაგან ქანდაკებისათვის) ოვდია იოს. ასათიანი (ჩაის მოწყობილობა), ტფილისის შრომის მოყვარეობის სახლი (მუშაობის საქმის კარგად დაყენებისათვის), წყლიდან გადამრჩენ ტფილისის საზოგადოება და ტფილისის პირუტყვთა მფარველი საზოგადოება.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათ. სააგენტოსაგან»)

15 დეკემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: მდინარე ამურის მარცხენა ნაპირას მდებარე ადგილი, ეგრედ წოდებული ზაზეისკის მაზრა, ამურის ჯარს მიეცეს დასასახლებლად, რადგანაც ამ ამურის ყაზახებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს ჩინეთთან ომის დროსაო.

გენერალი გროდეკოვი იტყობინება: ამბავი მივიღე, ერთ ადგილას ხუნხუზები გამაგრებულან და მორჩილებას არ გვიცხადებენო. მაშინვე ჯარი გავგზავნე. ხუნხუზებს ძლიერ მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ. ჩვენ 4 კაცი დაგვიჭრეს და 3 თუ 4 კაცი მოგვიკლეს. ხუნხუზებს—41 კაცი მოუკლით.

განჯა. მდინარე მტკვრის პირას, შამხორს ახლო პოლიციის შეტაკება მოჰხვლია ორ გამოქცეულ ყაჩაღთან. ერთი, სახელად სოიუნი, მოუკლავთ, მეორე დაუჭრიათ.

სოფია. სამინისტროს საქმე, ალბად, ასე გათავდება: ეხლანდელი სამინისტრო დარჩება, ოღონდ ზოგიერთი მინისტრის მაგიერად სტამბულოვის მომხრეებს მიიწვევენ.

ელიან, რომ საერო კრებას 14 დეკემბერს დაითხოვენო. ამ კრებას სულ ერთია ხვალ უთავდება ვადა.

ლონდონი. „სტანდარდ“ ს ატყობინებენ დურბანიდან: ბურების უფროსი დანიელ შელკვიკი სამხედრო სასამართლოს დადგენილებით თოფით დახვრიტეს კრიუგერსდორფში. შელკვიკს ის ბრალი დასდეს, ვითომ ერთ დაჭრილ პოლიციელისათვის თოფი ესროლოს, როდესაც ეს პოლიციელი დაჰნებებოდა და იარაღი დაეყარა.

ნიუ იორკი. სანტ-იაგოდან ამბავი მოვიდა, ბუენოს-აირესში რევოლიუცია მოხდაო *).

პეტერბურგი. რუსეთის ბუნების მკვლევართა და ექიმთა მე-XI კრების დროს, 20-დან 30 დეკემბრამდე, უნივერსიტეტის შენობაში,—სადაც კრება იმართება—საფოსტო-სატელეგრაფო კანტორა დაიწესეს. წერილები კრების წევრთა სახელობაზე ამ კანტორაში უნდა იგზავნებოდეს ზედ წარწერით: „XI კრება, მოთხოვნამდე“.

გარეშე საქმეთა მინისტრი 15 დეკემბერს ჩერნოგორიის თავად ნიკოლოზთან მივიდა სადარბაზოდ.—15 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ჩერნოგორიის თავადი ნიკოლოზი საზღვარ-გარედ წავიდა.

15 დეკემბერს, დილის მე-3 საათზე, საათჩისა და მანგუბეს თამბაქოს ფაბრიკებს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლმა ორი სართული გაანადგურა, დაღვრილმა წყალმა ფაბრიკა გააფუჭა. მუშაობა დააყენეს. ფაბრიკა დაზღვეულია. ზარალი საკმაოდ დიდია. გზათა მინისტრი შორეულ-აღმოსავლეთში წავიდა.

იაკუტსკი. მამონტის გამოსაკვლევად გაგზავნილი ექსპედიცია კოლიმსკის ოლქში მივიდა, მამონტი წამოიღო და დიდი გაჭირვების შემდეგ სრედნე-კოლიმსკში დაბრუნდა. მამონტი მამალია, შუა ხნისა იქნება; მისი ჩონჩხი და ტყავი თითქმის მთლად იპოვეს; მოკლე ბანჯგვლიანი კუდი აქვს; ფაშვში, კბილებში და ენაზე მოუნელებელი საჭმელი შერჩენია. მამონტს გაჰყინვენ და ისე წაიღებენ პეტერბურგში.

ქრისტიანია. „ვარდენს განგ“-ი სწერს: გარეშე საქმეთა მინისტრმა ურჩია ნორვეგიის მინისტრს ბლერს, საერთო კომისია დავაწესოთ, ამ კომისიაში ნორვეგიამ შვეციამ ორ-ორი კაცი ამოირჩიოსო და მივანდოთ, რომ ეხლანდელ საერთო საკონსულოების გაუქმებაზე მოლაპარაკონ. ნორვეგის ჰსურს, რომ კონსულები თავისთვის ცალკე ჰყვანდეს, შვეცია კი თხოულობს, თუ ვინიცობაა ცალკე საკონსულოები დავაწესეთ, უმთავრეს ზედამხედველად მაინც ისევ შვეცია იყოსო. ხსენებულმა კომისიამ ორივე ქვეყნის სურვილი უნდა შეათანხმოს.

სტანდერტონი. გენერალ სპენსის ქვეითი რაზმს ერმელოს ოლქში ბურები დაეცნენ მოულოდნელად, 10 კაცი მოუკლეს და 15 დაუჭრეს.

ლონდონი. ლონდონის ახალ ჯარის კორპუსში იქნება 1,500 ოფიცერი და 35,304 ჯარის-კაცი; ახალ ჯარს 1,183 ცხენი ეყოლება და 90 ზარბაზანი ექნება.

ნიუ-იორკი. მექსიკიდან იტყობინებიან, მთელი ამერიკის კონგრესის დელეგატები სამედიატორო სასამართლოს თაობაზე შეთანხმდნენ. შეთანხმებას საფუძვლად ჰააგის კონვენცია დაუდეს, რადგანაც ეს კონვენცია ყველა იმ სახელმწიფოებმა მიიღეს, რომლებსაც დელეგატები ჰყავთ კონგრესზე.

ბუენოს აირესი. „ჰავასის სააგენტოს“ სწერენ 14 დეკემბრის რიცხვით: ქალაქში (ბუენოს-აირესში) მშვიდობიანობაა, მაინც დიდ ძალი პოლიციელი დაამზადეს, რომ ხალხმა მანიფესტაციები არ მოახდინოს.

16 დეკემბერი.

კოპენჰაგენი. ბანკების დირექტორებმა ჰეიდემ და გლუკშტადტმა, აქაურ აღმოსავლეთ-აზიის საზოგადოების დირექტორმა ანდერსენმა და მდიდარ ვაჭართა წარმომადგენლებმა შეადგინეს სინდიკატი, რომელიც ეკონომიურად დაეხმარება ვესტინდიის კუნძულებს, თუ ამ კუნძულებს არ მიჰყიდიან შეერთებულ შტატებს. სინდიკატს დიდი ფული აქვს.

ლონდონი. დევეტის თავდასხმის დროს ტვიფონტეინთან ინგლისელებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: 6 ოფიცერი და 32 ჯარის კაცი მოკლულია, 9 ოფიცერი დაჭრილია და 4 არსად გამოჩნდა. სხვა ცნობა ზარალის შესახებ ჯერ არ მოსულა.

ლონდონი. ტვიფონტეინთან ბრძოლის შესახებ კიტჩენერი სწერს: „მაიორი უილიამსი, რომელსაც ფირმანსის იქ არ ყოფნის გამო ებარა მთავარ-სარდლობა, დაბანაკდა მეტად ალმაცერ მთის სამხრეთ მხარეს; ინგლისის ფორპოსტებმა დაიჭირეს მთის კალთა, და თუმცა ეს ადგილი მიუვალია, მაგრამ მაინც კიდევ გაამაგრეს; აღმოჩნდა, რომ ბურები ავიდნენ სამხრეთიდან მთაზე და შეგროვდნენ მთის მწვერვალზე; შემდეგ უეცრად, ნაშუაღამევის ორ საათზე დიდის რიცხვით დაეცნენ ზემოდ მდგომ ინგლისელ დარაჯებს; ბანაკში მყოფმა ინგლისელებმა ვერ მოასწრეს კარვებიდან გამოსვლა, რომ ბურები უკვე მოეფინენ მთელს ბანაკს, დაუწყეს ხოცვა ხალხს და კარვები დაშალეს; ინგლისის ოფიცრები ებრძოდნენ ბურებს და სცდილობდნენ მათს გაფანტვას, მაგრამ ბურები მეტად ბევრნი იყვნენ. პიკეტების განადგურების შემდეგ ყოველივე უპირატესობა ბურების მხარეს აღმოჩნდა. მოკლულთა და დაჭრილ ინგლისელთა რიცხვი, ამათთან ერთად, ვინც ეხლა უშიშარ ადგილას იმყოფება, ელანდსრივერბრიჯში, შეადგენს მთელის კოლონნის ნახევარს, დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს. გამოქცეულმა ინგლისელმა ოფიცერმა შეგვატყობინა, ორი ეტლი ვნახე, მოკლულ და დაჭრილ ბურებით სავსეო; ბურებს დაადევნეთ მცირე მხედრობა. ბურება მიაწიეს ლანგბერგს და ამ ადგილას ინგლისელები ვერას გააწყობდნენ ბურებთან, რომელთა რიცხვი უფრო დიდი იყო.“

ლონდონი. პიკეტბერგროადიდან ცნობა მოვიდა, რომ 15 დეკემბერს, კაპის კოლონიის დასავლეთით მყოფი ბურები, სულ 700 კაცი, 9 და 10 დეკემბერს ტერონისა, ვანრენსბურგისა, ვოოლტისა და სმიტ პიტერსის სარდლობით დაეცნენ კალვინიოში მიმავალ ინგლისელებს იმ დროს, როცა ისინი ვიწრო და გრძელ ხეობით მიდიოდნენ; ბურებმა მხოლოდ ერთი ეტლი წაართვეს და შემდეგ კი განდევნილ იქმნენ; 5 კაცი მოუკლეს ბურებს და 20-ზე მეტი დაუჭრეს.

სოფია. კაბინეთის სახელით მიცემული თხოვნა კარაველოვისა, სამსახურიდან გადადგომის შესახებ, ჯერ არ არის შეწყნარებული. მთავარმა მიიხმო საერო კრების პრეზიდენტი ბალაბანოვი. პარლამენტის სესია, რომლის ვადა დღეს გათავდა, განიგრძობა 22 დეკემბრამდე.

კიევი. 14 დეკემბერს, დილის 9 საათზე, დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ინახულა კადეტთა კორპუსი და აგრეთვე ვლადიმირის საკრებულო ტაძარი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ივ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

—

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 18 ამა დეკემბერს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ბეტონის წყლის მილის გაკეთება, 34,00 საჟენისა (0,375× 0,25 დიამეტრისა); მილი დაიწყება აწ არსებულიდან ვოზნესენსკის ქუჩაზე, გაივლის შვენდისის ვიწრო ქუჩით კამოევის სახლამდე; სამუშაოს ღირებულება 720 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობების განხილვა შეუძლია გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—3)

---

*) ზემო ხსენებული დეპეშები ტელეგრაფმა დააგვიანა.